ოქმი:**ო31.31213551**
თარიღი:**21/12/2021**

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ბიუროს სხდომის

ოქმი №14

ქ. ლანჩხუთი

15. 12. 2021 წელი

ბიუროს სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ბესიკ ტაბიძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილეები ვერიკო კვირკველია და გიორგი ჩახვაძე, საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე, საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარე ალექსანდრე მახათაძე, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა თავმჯდომარე კახა კვიტაიშვილი, საკრებულოს ფრაქცია ,,ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს“ თავმჯდომარე ია მოქია, ფრაქცია ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“ თავმჯდომარე მაკა მშვიდობაძე, ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე გიორგი გოგუაძე, საკრებულოს აპარატის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი ნანა ბზეკალავა, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში რუსუდან გვარჯალაძე.

სხდომას ესწრებოდნენ მოწვეული სტუმრები: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი ალექსანდრე სარიშვილი, მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია, მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი როლანდ ლაშხია, მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსი (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძე, მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელი მაკა გოგიჩაიშვილი, მედია.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების განხილვის დაწყებამდე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიურომ იმსჯელა საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღის შესახებ.

საკრებულოს მორიგი სხდომის მოწვევის თარიღად განისაზღვრა 2021 წლის 24 დეკემბერი 11:00 საათი.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** აღნიშნა, რომ მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი თამარ ფირცხალაიშვილი იმყოფება შვებულებაში, ამიტომ დღის წესრიგის მეშვიდე საკითხზე „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ მომხსენებელი იქნება მოვალეობის შემსრულებელი მაკა გოგიჩაიშვილი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** ბიუროს წევრებს გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

4. „ქალაქ ლაჩხუთში არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

5. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი როლანდ ლაშხია/

6. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი ელიკო იმნაძე/

7. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი მაკა გოგიჩაიშვილი/

8. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი კარლო კვიტაიშვილი/

9. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ალექსანდრე მახათაძე/

10. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ზაზა წულაძე/

11. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი ხელაძე/

12. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისია კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი გიორგი იმნაიშვილი/

13. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ.

/მომხსენებელი ნინო ძიძიგური/

14. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი ემზარ თევდორაძე/

15. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის საკრებულოს კომისიებში, ფრაქციებში დაგზავნის, ძირითადი კომისიის განსაზღვრის, განხილვის ვადებისა და საკრებულოს სხდომის დღის წესრიგის პროექტში შეტანის სავარაუდო თარიღის დადგენის თაობაზე.

/მომხსენებელი გიორგი ნაჭყებია/

16. სხვადასხვა საკითხები.

დღის წესრიგის პროექტთან დაკავშირებით ბიუროს წევრების მიერ შენიშვნები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის“, გენერალური დირექტორის მოადგილემ, მაგდა ბოლოთაშვილმა, რომელმაც აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიასა და სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“ შორის გაფორმებულ 2021 წლის 8 ოქტომბრის იჯარის ხელშეკრულებას (სარგებლობის უფლებით გადაცემული უძრავი ქონებაა - ქ. ლანჩხუთში, ნინოშვილის ქ. N37-ში მდებარე მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული შენობა - ნაგებობა) მოქმედების ვადა ეწურება. მან ითხოვა აღნიშნული ფართის, 2022 წლის 1 იანვრიდან - 31 დეკემბრის ჩათვლით, პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ სსიპ ,,საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით. სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სარგებლობის უფლებით გადასაცემი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 18 615,3 ლარიდან 5%-ის ოდენობით განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა, რომელმაც შეადგინა 930.8 ლარი. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა შ.პ.ს ,,საქართველოს ფოსტის” ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტის უფროსმა გივი კუბლაშვილმა, რომელმაც ითხოვა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების (ქ. ლანჩხუთში, ჟორდანიას ქუჩის მიმდებარედ მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონებიდან, კერძოდ 27.06.51.006 საკადასტრო კოდზე არსებული 564 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთიდან 6 კვ.მ. მიწის ნაკვეთი) პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ შ.პ.ს ,,საქართველოს ფოსტას”, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განსაკარგი უძრავი ქონების საწყისი საპრივატიზებო საფასურიდან 441.48 ლარიდან (დაახლოებით 80%-ის ოდენობით) განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა-354 ლარით. აღნიშნულიდან გამომდინარე, პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, **გიორგი ჩახვაძემ** აღნიშნა, რომ მას არ მიაჩნია სწორად ზემოხსენებულ ტერიტორიაზე ,,საქართველოს ფოსტის“ ჯიხურის განთავსება, რადგან იქ შესაძლებელია ნკვმ-ზე მეტი მიწის ფართის გასხვისება ან სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გაცემა, რაც გაცილებით მეტ შემოსავალს მოუტანს მუნიციპალიტეტს.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ამ კონკრეტულ ტერიტორიაზე უფრო მეტი ფართის გასხვისება და შენობა-ნაგებობის დადგმა არ არის მიზანშეწონილი, რადგან იქ განთავსებულია სკვერი და აღნიშნული ტერიტორია დაკარგავს მის ფუნქციას, ამიტომ შ.პ.ს ,,საქართველოს ფოსტის” ქონების მართვისა და ტრანსპორტის დეპარტამენტს მიეცემა თანხმობა ნაკვეთი გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით იმ პირობით, რომ ჯიხურის ვიზუალური მხარე იქნება გაუმჯობესებული.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიას, განცხადებით მომართა ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ ხელმძღვანელმა რემა ღვამიჩავამ, რომელმაც აღნიშნა, რომ ევროკავშირის პროექტის ,,ჰორიზონტი 2020-ის“ ფარგლებში საზოგადოება (როგორც ქართული მხარის წარმომადგენელი) გეგმავს ქ. ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნებას და მის აღჭურვას თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი აპარატურით. მისივე თქმით

ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება გაზრდის გურიაში მცხოვრები მოსახლეობის ხელმისაწვდომობას ადრეულ დიაგნოსტიკასა და პრევენციულ კვლევებზე, როგორც გეოგრაფიული ასევე ფინანსური თვალსაზრისით. განმცხადებელმა პროექტის მიზნის მისაღწევად, კერძოდ ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირებისათვის ითხოვა 15 წლით, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის, სოფელ შუხუთში მდებარე 1782 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთისა და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობების პირდაპირი განკარგვის წესით, პირობიანი, (ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნება და ფუნქციონირება. სკრინინგის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, მიზნობრივ პოპულაციისათვის სამედიცინო საერვისების უფასო მიწოდება. უახლოესი ორი წლის განმავლობაში - სამედიცინო აპარატური სახით 350 000 ლარის ოდენობით, ხოლო გადაცემული ფართის რემონტის სახით მინიმუმ 100 000 ლარის ოდენობის ინვესტიციის განხორციელება, ასევე პროექტის განხორციელების პერიოდში ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ადგილობრივი მოსახლეობიდან 6-8 ადამიანის დასაქმება) სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემა. მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მოსაზრებაა, რომ ზემოაღნიშნული პირობების გათვალისწინებით, ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“, მის მიერ მოთხოვნილი ქონება გადაეცეს პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით, რისთვისაც სამსახურმა განსაზღვრა უძრავი ქონების წლიური ქირის ოდენობა - 1 ლარის ოდენობით. აღნიშნულიდან გამომდინარე, გთხოვთ ,,მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის 669 დადგენილების 36-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, განიხილოდ და მოგვცეთ თანხმობა მერიის მიერ, განსაზღვრულ განსაკარგი უძრავი ქონების ქირის წლიური საფასურის ოდენობაზე. პროექტის მიღება გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას და არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ის მიესალმება ქ. ლანჩხუთში ძუძუს კიბოს სკრინინგის ცენტრის დაფუძნებას, მაგრამ მისი აზრით, უმჯობესი იქნება ცენტრის განსათავსებლად შერჩეული იქნეს უფრო კარგად მისადგომი ადგილი.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოების“ ხელმძღვანელმა, რემა ღვამიჩავამ თანხმლებ პირებთან ერთად ადგილზე დაათვალიერა მუნიციპალიტეტის მიერ შეთავაზებული რამოდენიმე შენობა-ნაგებობა და საბოლოოდ შეარჩიეს ზემოხსენებული ტერიტორია.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის,

ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

დღის წესრიგის მეოთხე საკითხი: „ქალაქ ლაჩხუთში არსებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ გიორგი ხელაძემ. მან განმარტა, რომ საკრებულოში შემოსულია მოქალაქეთა საინიციატივო ჯგუფის განცხადება (29 მოქალაქე აწერს ხელს) რომლებიც ითხოვენ, რომ თავისუფლების ქუჩის №II ჩიხს, სადაც ცხოვრობდა საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი ქალბატონი დარეჯან ქინქლაძე გახდეს მისი სახელობის. ქალბატონი დარეჯან ემელიანეს ასული ქინქლაძე (1926-2016) დაიბადა ლანჩხუთის რაიონის სოფელ აცანაში, სკოლა მედალზე დაამთავრა, იმავე წელს ჩააბარა ბათუმის პედაგოგიური ინსტიტუტის ისტორია-ფილოლოგიის ფაკულტეტზე, რომლის დამთავრების შემდეგ მუშაობა დაიწყო აცანის საშუალო სკოლაში ჯერ ისტორიის, შემდეგ ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლად. 1954 წელს შექმნა ოჯახი და მუშაობა დაიწყო ლანჩხუთის 9-წლიან სკოლაში. ამ სკოლის ბაზაზე ჩამოყალიბდა ლანჩხუთის №2 საშუალო სკოლა, სადაც ის 37 წლის განმავლობაში მშობლიურ ენასა და ლიტერატურას ასწავლიდა. პენსიაზე გასვლამდე ქალბატონი დარეჯანი მუშაობდა ჯერ სოფ. ქვიანის და შემდეგ სოფ.ჩიბათის საშუალო სკოლებში. 1979 წლის 9 ოქტომბერს დარეჯან ქინქლაძეს მიენიჭა საქართველოს დამსახურებული მასწავლებლის საპატიო წოდება, ამავე წელს, გახდა „სახალხო განათლების წარჩინებული“. 1984 მიენიჭა წლის საუკეთესო მასწავლებლის წოდება; 1985 წელს მიიღო უფროსი მასწავლებლის წოდება; 1986 წელს საპატიო ნიშნის ორდენოსანი გახდა; 1987 წელს შრომის ვეტერანის წოდება მიანიჭეს. მიღებული აქვს განათლების სამინისტროს, განათლების პროფკავშირების, მოსწავლეთა რესპუბლიკური სასახლის და ხელოვნების ინსტიტუტის დიპლომები, სიგელები, მედლები (ყველა დოკუმენტი ზემოთ ჩამოთვლილისა დაცულია მის პირად არქივში). მან დამატებით განმარტა, რომ - სამთავრობო დადგენილებით (№239-2015წ. 1 ივნისი) მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ - სახელდება დასაშვებია ამ პირის გარდაცვალებიდან არანაკლებ 20 წლის გასვლის შემდეგ. ამ შემთხვევაში გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობაზე გადაწყვეტილებას იღებს საკრებულო, ასევე აღნიშნული საკითხი შეთანხმებულია-გეოგრაფიული ობიექტების სახელწოდებათა დადგენის, ნორმალიზების, გამოყენების რეგისტრაციის აღრიცხვისა და დაცვის მიზნით მოქმედ სამთავრობო კომისიასთან (მიხეილ გვათუა). აღნიშნული საკითხიც გადაგზავნილია და შეთანხმებული, რომ საკრებულომ იმსჯელოს ამ კონკრეტულ საკითხზე და გადაწყვიტოს დადგენილებით განსაზღვრული ვადის შემცირების მიზანშეწონილობა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ კარგი იქნება, თუ სახელის მინიჭებასთან ერთად მოწესრიგდება, როგორც ამ ჩიხის, ასევე მთავარი ქუჩის (თავისუფლების ქუჩა) ინფრასტრუქტურა.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ქალაქ ლაჩხუთში ასებული ჩიხისთვის დარეჯან ქინქლაძის სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით გამონაკლისის დაშვების მიზანშეწონილობის შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარე გიორგი ხელაძე.

დღის წესრიგის მეხუთე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 25 დეკემბრის N21 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა **როლანდ ლაშხიამ**. მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ცვლილების შესატანად დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში წარმოადგინა შესატანი ცვლილებების დაზუსტებული მონაცემები, კერძოდ:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის შემოსავლების საკასო შესრულების ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია შემოსავლების (დამტკიცებული ბიუჯეტის ფარგლებში) ცალკეული სახეების კორექტირება, კერძოდ: სასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა გაიზარდოს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 90,0 ათასი ლარით; არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გადასახადის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 600,0 ათასი ლარით; ბუნებრივი მოსაკრებლის გეგმა შემცირდეს 67,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 83,0 ათასი ლარით; მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტით, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან შემოსავლის გეგმა გაიზარდოს 7,0 ათასი ლარით, არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურებიდან შემოსავლის გეგმა შემცირდეს 40,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 10,0 ლარით; ჯარიმები სანქციები და საურავებიდან შემოსავლის

გეგმა გაიზარდოს 115,0 ათასი ლარით და განისაზღვროს 2862,74 ათასი ლარით. სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე საქართველოს მთავრობის 2021 წლის 11 მარტის #330 განკარგულებაში საქართველოს მთავრობის მიმდინარე წლის 10 ნოემბრის #1985 განკარგულებით შესული ცვლილებით ლანჩხუთის მუნიციპალიტეტს სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით დამატებით გამოეყო 850000 ლარი. აქედან: აცანის ადმინისტრაციული შენობის სახურავის რეაბილიტაციაზე უნდა მიიმართოს 127104 ლარი, სუფსის კულტურის სახლის სახურავის რეაბილიტაციაზე-89967 ლარი, გზების მოხრეშვასა და სასტუმრო ლაშთანთან წყლის კოლექტორის მოწყობაზე მიიმართოს 209952 ლარი, მრავალბინიანი სახლის და საცხოვრებელი სახლების სახურავის მასალების შეძენაზე და სუფსის ადმინისტრაციულ ერთეულში სტიქიის შედეგად დამწვარი სახლის რეაბლიტაციაზე მიიმართოს 422977 ლარი. საქართველოს მთავრობის 2021 წლის 04 თებერვლის N147 განკარგულების საფუძველზე 96400,60 ლარი მიიმართოს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირებისთვის. ა(ა)იპ-ების მიერ წარმოდგენილი წერილების განხილვის შედეგად უნდა განხორციელდეს: ა(ა)იპ „კეთილმოწყობისა და მომსახურების ცენტრის“ წყლის სისტემის ექსპლოატაციის ოფისის მუხლის 2000 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი და მომსახურების მუხლის 3500 ლარით, მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურების 8500 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის არაფინანსური აქტივების მუხლის 4000 ლარით, ტრანსპორტის, ტექნიკისა და იარაღის ექსპლოატაციისა და მოვლა პატრონობის მუხლის 18400 ლარით, სასაფლაოების მოვლა პატრონობის ოფისის მუხლის 2400 ლარით, მუნიციპალური ტრანსპორტის შტატით მომუშავეთა ანაზღაურების 5500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების არაფინანსური აქტივების მუხლის 5000 ლარით ხარჯების შემცირების შედეგად გაიზარდოს მწვანე ნარგავების მოვლა პატრონობის შტატგარეშე მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 1500 ლარით, სასაფლაოების მოვლა პატრონობის შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 1400 ლარით, დასუფთავებისა და ნარჩენების გატანის შტატით მომუშავეთა ანაზღაურება 4000 ლარით, შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურება 17200 ლარით, გარე განათების ქსელის ექსპლოატაციის და მოვლა შენახვის შტატით მომუშავეთა შრომის ანაზღაურება 3200 ლარით, ოფისის მუხლი 1400 ლარით, სხვა დანარჩენი საქონელი მომსახურების მუხლი 3500 ლარით, სადღესასწაულო ღონისძიებების ოფისის მუხლი 7300 ლარით, საქონელი და მომსახურების მუხლი 9800 ლარით. ა(ა)იპ ლანჩხუთის „სახელოვნებო სკოლათა გაერთიანების“ შრომის ანაზღაურების მუხლის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 5000 ლარით. ა(ა)იპ „კულტურის დაწესებულებათა გაერთიანების“ არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლის 2452 ლარის შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საქონელი და მომსახურების მუხლი 2452 ლარით. ამასთან, დამატებით გამოეყოს 15000 ლარი საქონელი და მომსახურების მუხლში საახალწლო ღონისძიების ორგანიზების ჩატარებისათვის. ფინანსური უზრუნველყოფა განხორციელდეს ჯარიმების, სანქციების და საურავების გეგმის 15000 ლარით ზრდის ხარჯზე. ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლას“ სხვა ხარჯების მუხლი შეუმცირდეს 3650 ლარით, შრომის ანაზღაურების მუხლის 13800 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს არაფინანსური აქტივების მუხლი 1200 ლარით, სხვა საქონელი და მომსახურების მუხლი 16250 ლარით. მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალური უზრუნველყოფის 5000 ლარით შემცირების ხარჯზე გაიზარდოს საკრებულოს სხვა ხარჯების მუხლი 5000 ლარით(სადეპუტატო უფლებამოსილების განხორციელებისათვის). სოციალური პროგრამების შესრულების მიმდინარეობის ანალიზის შედეგად მიზანშეწონილია განხორციელდეს პროგრამებს შორის შიდა მონაცვლეობა, კერძოდ: „შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 16) 10000 (ათი ათასი) ლარით, „მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 02) 3600(სამი ათას ექვსასი) ლარით, „ომის ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამის “ (პროგრამის კოდი 06 02 08) 3900 (სამიათას ცხრაასი) ლარით, „ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 01) 9570 (ცხრა ათას ხუთას სამოცდაათი) ლარით, „მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი

თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამის“(პროგრამის კოდი 06 02 09) 8300 (რვა ათას სამასი) ლარით, „ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამის”(პროგრამის კოდი 06 02 17) 8300 (რვაათას სამასი) ლარით, „გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამის“ (პროგრამის კოდი 06 02 18) 2000(ორიათასი) ლარით, „კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამის” 3000 (სამიათასი) ლარით, „აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამის 15730(თხუთმეტიათას შვიდას ოცდაათი) ლარით შემცირების ხარჯზე-4000 (ოთხი ათასი) ლარით გაიზარდოს „კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა; 2000(ორი ათასი) ლარით გაიზარდოს „მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა“; 1000 (ათასი)ლარით „.უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურეობის პროგრამა“; 2000 (ორი ათასი) ლარით „მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა“; 1500(ათას ხუთასი) ლარით „მძიმე საცხოვრებელ პირობებში უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი დახმარების პროგრამა“; 40 000(ორმოცი ათასი) ლარით, „სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა“; 13900(ცამეტი ათას ცხრაასი) ლარით გაიზარდოს „ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა“ კერძოდ, 13900 (ცამეტი ათას ცხრაასი) ლარი მიიმართოს „სადღესასწაულო და ღირშესანიშნავ დღეებთან დაკავშირებით საკვები პროდუქტებისა და ტკბილეულის შესაძენად სოციალურად დაუცველი უმწეო ოჯახებისათვის ქვეპროგრამაზე“. მუნიციპალიტეტის მერიის არაფინანსური აქტივების 32000 ლარის შემცირების ხარზე გაიზარდოს მუნიციპალიტეტის მიერ შექმნილი რვა ა(ა)იპ-ის საქონელი და მომსახურების მუხლი ჯამში 32000 ლარით (თითოეული აიპის 4000 ლარი) საჯარო სექტორის ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების (სსბასს-IFSAS) სრული დარიცხვის მეთოდის დანერგვისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნით ბუღალტრული პროგრამების შეძენისათვის. ვინაიდან ცვლილებები მიზანშეწონილია დამტკიცებული იქნეს უახლოეს პერიოდში, აღნიშნული საკითხის დასამტკიცებლად, საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 26-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად გთხოვთ მოიწვიოთ საკრებულოს რიგგარეშე სხდომა.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ მისთვის გაუგებარია ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლას“ რატომ შეუმცირდა თანხა შრომის ანაზღაურების მუხლში და გაეზარდა სხვა საქონელი და მომსახურების მუხლში მაშინ, როცა ამ სამსახურში დამატებულია ახალი თანამშრომლები. იგი ასევე დაინტერესდა რატომ არ არის საშტატო ნუსხაში ასახული ცვლილება საკრებულოს თავმჯდომარისთვის კიდევ ორი მოადგილის დამატების თაობაზე.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ საშტატო ნუსხაში აუცილებლად იქნება ცვლილება, რაც შემდგომში აისახება სახელფასო ფონდში, ხოლო ა(ა)იპ „საფეხბურთო სკოლა“-ში ერთი ადგილი არის ვაკანტური და ერთი თანამშრომელი გადავიდა საფეხბურთო აკადემიაში, შესაბამისად, სახელფასო კუთხით მოხდა თანხების ეკონომია და რადგან საფეხბურთო სეზონი დასრულდა ამ თანხით აპირებენ შეიძინონ კომპიუტერი, სკამები და სხვა საჭირო ინვენტარი.

საკრებულოს თავმჯდომარემ, **ბესიკ ტაბიძემ** განმარტა, რომ აღნიშნული საკითხი განსახილველად წარმოდგენილი იქნება უახლოეს საკრებულოს რიგგარეშე სხდომაზე.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

დღის წესრიგის მეექვსე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ადმინისტრაციული და შესყიდვების სამსახურის მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის უფროსმა (ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების უფროსი) ელიკო იმნაძემ. მან განმარტა, რომ განსახილველად და დასამტკიცებლად წარმოადგინა „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა საშტატო ნუსხისა და თანამდებობრივი სარგოს ოდენობების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 25 დეკემბრის N38 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი, რომლის მიხედვით მერიის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტის თანამდებობრივი სარგო ნაცვლად დღეს არსებული 700 ლარისა, განისაზღვრება 800 ლარის ოდენობით, ხოლო პროექტის ფინანსური უზრუნველყოფა გათვალისწინებულია ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის პროექტში.

ბიუროს წევრების მიერ დადგენილების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა 11 ბიუროს წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეშვიდე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მისაღებად ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსის მოვალეობის შემსრულებელმა **მაკა გოგიჩაიშვილმა.** მისი განმარტებით, წინამდებარე წესი აწესრიგებს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტიდან „სოციალური დაცვის“ მუხლში გათვალისწინებული სოციალური დახმარებების დანიშვნასთან და გაცემასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, განსაზღვრავს სოციალური დახმარებების დანიშვნასა და გაცემაზე უფლებამოსილ სტრუქტურულ ერთეულს, ადგენს სოციალური დახმარების სახეებს, მათი დანიშვნისა და გაცემის ძირითად სახელმძღვანელო პრინციპებს.

ფულადი სოციალური დახმარების სახეები:

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გაცემას ექვემდებარება შემდეგი ფულადი სოციალური დახმარებები:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით-თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა;

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა;

დ) ცენტრ ,,იავნანას” თანადაფინანსების პროგრამა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა;

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისათვის.

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა.

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის ერთჯერადი დახმარების პროგრამა;

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა.

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა.

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსაგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის აღმოფხვრის ხელშეწყობა.

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა.

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა.

ფ) 0-დან 18 წლამდე დედმამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა.

ქ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა.

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარებილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა.

ყ) კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური დაცვის ღონისძიებათა მუნიციპალური პროგრამით გათვალისწინებული სოციალური დახმარების დანიშვნისა და გაცემის ორგანიზებას უზრუნველყოფს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური (შემდგომში – სამსახური).

ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად საჭირო დოკუმენტაციის წარდგენა ხდება შემდეგნაირად:

1. სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებული პირი წერილობითი განცხადებით მიმართავს და შესაბამის დოკუმენტაციას წარუდგენს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას დახმარების დანიშვნის ან მიღების თაობაზე მარტივი ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

2. მერიაში შემოსული ყველა განცხადება თანდართული დოკუმენტაციით შესასწავლად ეგზავნება შესაბამის სამსახურს.

3. მერიის შესაბამისი სამსახური უზრუნველყოფს სოციალური დახმარების მიღების თაობაზე საკითხის განსახილველად მომზადებასა და გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო სხვა პროცედურების განხორციელებას.

4. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის ფარგლებში, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე. პროგრამის განხორციელების აუცილებლობას შეისწავლის მერიის შესაბამისი სამსახური და დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

ბენეფიციარის მიერ სოციალური დახმარების დასანიშნად ან მისაღებად წარმოსადგენი დოკუმენტაციის ნუსხა კონკრეტული სოციალური პროგრამიდან დახმარების დასანიშნად ან მისაღებად დაინტერესებულმა პირმა განცხადებას უნდა დაურთოს შემდეგი დოკუმენტაცია:

ა) ბიკარბონატული ჰემოდიალეზით – თირკმლის ქრონიკული უკმარისობით დაავადებულთა სამედიცინო დაწესებულებაში ტრანსპორტირების პროგრამა – განცხადება, ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში და პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი;

ბ) მრავალშვილიანი ოჯახების დახმარების პროგრამა – განცხადება, მშობლების პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი, ბავშვების დაბადების მოწმობების ასლები, მშობლების ქორწინების მოწმობის ასლი, ერთ-ერთი მშობლის საბანკო ანგარიში და სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის ამონაწერი ან ცნობა რომ ოჯახი არ არის დარეგისტრირებული სოციალურად დაუცველთა ერთიან ბაზაში;

გ) სამკურნალო და საოპერაციო ხარჯებით დახმარების პროგრამა – ბენეფიციარმა ან მისმა ოჯახის წევრმა მუნიციპალიტეტში უნდა წარმოადგინოს: განცხადება; სამკურნალო დაწესებულების ანგარიშფაქტურა/ კალკულაცია; განმცხადებლის (პაციენტის) პირადობის მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი); ცნობა სოციალური მომსახურების სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ; ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა 100,); ცნობა დაზღვევის ფარგლებში დაფინანსების ოდენობის ან დაფინანსებაზე უარის თქმის შესახებ; ანაზღაურება მოხდება უნაღდო

ანგარიშსწორების ფორმით, სამედიცინო დაწესებულების შესაბამის ანგარიშზე, გაწეული სამედიცინო მომსახურების დამადასტურებელი დოკუმენტის წარმოდგენის შემდეგ; ისეთ განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა სასწრაფო (გადაუდებელი) სამედიცინო ოპერაციების, სასწრაფო (გადაუდებელი) ქიმიოთერაპიის და სხივური თერაპიის თანადაფინანსება, სასწრაფო - გადაუდებელი მაგნიტო- რეზონანსული ტომოგრაფიების, კომპიუტერული ტომოგრაფიების და ანგიოგრაფიული კვლევის უნაღდო ანგარიშსწორებით (ინვოისით წარმოდგენილი ასანაზღაურებელი თანხა არაუმეტეს 400 ლარისა) - რომელიც არ ჯდება მერიის თანადაფინანსების პროგრამაში, მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტით შესაძლებელია განხორციელდეს სარეიტინგო ქულის წარმოდგენის გარეშეც. ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და საკრებულოს წევრის შუამდგომლობის საფუძველზე.

დ) ცენტრ „იავნანას“ თანადაფინანსების პროგრამა – კომუნალური ხარჯების, ჰიგიენისა და ყოველდღიური მოხმარების საგნების თანხის კალკულაციის წარმოდგენა;

ე) მოსწავლეთა ტრანსპორტირების პროგრამა-მუნიციპალიტეტის მერსა და ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორს შორის გაფორმებული შეთანხმების აქტი; პრორექტორის მიერ თანხის ყოველთვიური მოთხოვნა;

ვ) მზრუნველობამოკლებულთა უფასო კვებით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან, რომ არის სოციალურად დაუცველი და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე;

ზ) იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, დევნილის მოწმობის ასლი და საბანკო ანგარიში;

თ) ომის მონაწილე ვეტერანებისა და მათი ოჯახების დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სოციალური სააგენტოდან სარეიტინგო ქულის შესახებ, ვეტერანობის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში;

ი) მძიმე საცხოვრებელ პირობებში მყოფი ოჯახების დროებითი თავშესაფრით უზრუნველყოფის პროგრამა – განცხადება, ცნობა, რომ ბენეფიციარს არ აქვს საცხოვრებელი ფართი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, განმცხადებლის და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ფართის მეპატრონის ამონაწერი საჯარო რეესტრიდან, ბენეფიციარსა და საცხოვრებელი ფართის მეპატრონეს შორის გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულება და საცხოვრებელი ფართის მეპატრონის საბანკო ანგარიში;

კ) ლანჩხუთის რეგიონალური ორგანიზაციის „გამარჯვებულ ქალთა კლუბის“ სარეაბილიტაციო პროგრამა ძუძუს კიბოს დიაგნოზით ნაოპერაციები ქალებისთვის-ორგანიზაციის მიერ წარმოდგენილ პროგრამებზე გახარჯული თანხის კალკულაციის წარმოდგენა და საბანკო ანგარიში;

ლ) ხანდაზმულ (100 და მეტი წლის ასაკის) პირთა დახმარების პროგრამა-განცხადება, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო

ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

მ) მძიმე საცხოვრებელ პირობებში, უბედური შემთხვევისა და სტიქიური მოვლენების შედეგად დაზარალებული ოჯახებისათვის დახმარების პროგრამა – განცხადება, ბენეფიციარის ან ოჯახის წევრის საბანკო ანგარიში, პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის დასკვნა სახლის მდგომარეობის შესახებ, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა (ასლი) ან ცნობა; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

ნ) უპატრონო მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურების პროგრამა-განცხადება, მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის(საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; გარდაცვალების მოწმობის ასლი, საბანკო ანგარიში. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ო) ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა – განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; მარტოხელა მშობლის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი. „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; ერთჯერადად გადაუდებელი შემთხვევისთვის ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიზე რეგისტრირებული კონკრეტული ბენეფიციარის ერთჯერადი ფინანსური დახმარებისათვის - განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობა; „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ ოჯახისთვის მინიჭებული სარეიტინგო ქულის ამონაწერი; არსებობის შემთხვევაში ბენეფიციარის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა N100; გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით.

პ) მედიკამენტების შეძენაზე დახმარების პროგრამა-განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა); სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის მიერ სამედიცინო მომსახურების შესახებ გაცემული ანგარიშფაქტურა; ცნობა სარეიტინგო ქულის შესახებ. (დიალიზით მოსარგებლე ბენეფიციარები, ხოლო ომის ვეტერანები პროგრამით გათვალისწინებული კონკრეტული დიაგნოზის შემთხვევაში თავისუფლდებიან სარეიტინგო ქულის წარმოდგენისაგან); 0-დან 18 წლამდე შშმ ბენეფიციარების დახმარების შემთხვევაში ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, შშმ პირის

სტატუსის დოკუმენტი. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების/აფთიაქის საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე. პროგრამით ისარგებლებენ ის ოჯახები რომელთა სარეიტინგო ქულა 65001-დან არ აღემატება 150000-ს;

ჟ) შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციართა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა – განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ცნობა სამედიცინო დაწესებულებიდან (ფორმა № IV-100/ა) სამკურნალო დაწესებულების ანგარიშ-ფაქტურა. თანხა ჩაირიცხება შესაბამისი სამედიცინო დაწესებულების საბანკო ანგარიშზე, წარმოდგენილი ანგარიშ-ფაქტურის შესაბამისად. მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის (ბრძანების) საფუძველზე;

რ) ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობისა და ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების პროგრამა – ბავშვთა ადრეული განვითარების ხელშეწყობის პროგრამის შემთხვევაში პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100 სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა ან ცნობა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურეობის რაოდენობის შესახებ. რომლის შესაბამისად მოხდება მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციისთვის და ბავშვებისთვის ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში. ბავშვთა რეაბილიტაცია/ აბილიტაციის ქვეპროგრამით მოსარგებლე შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების დაფინანსების შემთხვევაში – პირის კანონიერი წარმომადგენლის/მინდობით აღმზრდელის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი; კანონიერი წარმომადგენლობის შემთხვევაში – დამადასტურებელი საბუთი და მისი ასლი, მინდობით აღმზრდელის შემთხვევაში – მინდობით აღზრდის ხელშეკრულების ასლი; ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ფორმა №100. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა. მომსახურეობის მომწოდებელი ორგანიზაციის მომართვა თვის განმავლობაში ბენეფიციარზე გაწეული მომსახურეობის რაოდენობის შესახებ, რომლის შესაბამისად მოხდება შშმ ბავშვების და მათი თანმხლები პირების ტრანსპორტირების ხარჯის ანაზღაურება. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ს) გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფისა და ოჯახში ძალადობის

აღმოფხვრის ხელშეწყობის პროგრამა- განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი ძალადობის მსხვერპლის სტატუსის დოკუმენტი, ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ტ) სახელმწიფო ზრუნვის სისტემიდან გასული ახალგაზრდების დახმარების პროგრამა-განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი; ბენეფიციარის საბანკო ანგარიში, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს გურიის სამხარეო ცენტრის ლანჩხუთის რაიონული განყოფილების მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

უ) მინდობით აღზრდაში განთავსებულ ბავშვებს, რომელთა რეინტეგრაცია-ბიოლოგიურ ოჯახში დაბრუნება განხორციელდება ერთჯერადი ფინანსური დახმარების პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე კომისიის წინადადების გათვალისწინებით;

ფ) 0-დან 18 წლამდე დედ-მამით ობოლი ბავშვებს და შშმ ბავშვებს რომელიც არის ობოლი ერთჯერადი სოციალური (ფულადი) დახმარების პროგრამა-ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ მიერ გაცემული შესაბამისი მიმართვა ან ცნობა. ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ქ) ცელიაკიით დაავადებულთა (18 წლამდე ასაკის) კვებითი დანამატებით უზრუნველყოფის პროგრამა- ბავშვის კანონიერი წარმომადგენლის განცხადება, განმცხადებლის (ბენეფიციარის) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი, ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი, ბავშვის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირის სტატუსის დამადასტურებელი მოწმობის ასლი, ჯანმრთელობის ფორმა №100/ა და ანგარიშფაქტურა საქართველოში განთავსებული შესაბამისი სააფთიაქო დაწესებულებიდან. თანხა ჩაირიცხება ბენეფიციარის უფლებამოსილი წარმომადგენლის საბანკო ანგარიშზე. გადაწყვეტილება მიიღება მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე;

ღ) აუტისტური სპექტრის მქონე ბავშვთა სარეაბილიტაციო კურსის დაფინანსების პროგრამა. პროგრამის მოსარგებლეები არიან დაავადებათა საერთაშორისო კლასიფიკატორის (ICD-10) მიხედვით განვითარების ზოგადი აშლილობების ჯგუფის (F84.0-დან F84.9-ის) დიაგნოზის მქონე 2-დან 18 წლის ასაკის ჩათვლით,

ასევე პროგრამის მოსარგებლეები არიან (R62.0) განვითარების ეტაპების დაყოვნების დიაგნოზის მქონე 0-დან 2 წლამდე საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც 2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით და ამავდროულად ქვეპროგრამაში ჩართვის მომენტისათვის არიან ლანჩხუთის მუნიციპალიტეტებში რეგისტრირებულნი; პროგრამაში ჩართვისთვის ბავშვის მშობელმა/კანონიერმა წარმომადგენელმა პროგრამაში ჩართვის განცხადებასთან ერთად უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია: მოსარგებლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (დაბადების მოწმობა, პასპორტი, იძულებით გადაადგილებული პირის მოწმობა) ასლი; მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (მოქალაქის პირადობის მოწმობა ან პასპორტი) ასლი, კანონიერი წარმომადგენლის შემთხვევაში – აღნიშნულის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სამოქალაქო რეესტრის სააგენტოდან საინფორმაციო ბარათი), ბავშვთა ფსიქიატრის მიერ გაცემული მოსარგებლის ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ ცნობა (ფორმა №IV-100/ა), რომელშიც მითითებული უნდა იყოს პირის ძირითადი დიაგნოზი და დიაგნოსტიკისთვის აუცილებელი, სულ მცირე, ADOS ტესტირების შედეგი; შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში). რეაბილიტაციური სერვისის განხორციელების საჭირო ხარჯი დაფინანსდება მუნიციპალური პროგრამის ფარგლებში, რომელიც შესრულებული სამუშაო კალკულაციის შესაბამისად გადაირიცხება შემსრულებელი ორგანიზაციის ანგარიშზე;

ყ) კოვიდ 19-ით ინფიცირებულთა და მასთან კონტაქტში მყოფ პირთა ტრანსპორტირებით დახმარების პროგრამა -ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კოვიდ 19-ით ინფიცირებული ბენეფიციარები რომლებსაც დაუდასტურდებათ კოვიდ 19 და საჭიროებენ გადაყვანას სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე, ასევე კვლევების ჩატარებას, ზემოაღნიშნული პროგრამის ფარგლებში განხორციელდება ინფიცირებულის სამედიცინო დაწესებულებაში ან ბინაზე ტრანსპორტირება, ასევე კორონა ვირუსზე საეჭვო პაციენტების ტრანსპორტირება კვლევების ჩასატარებლად და სამედიცინო დაწესებულებაში გამოჯანმრთელებული ბენეფიციარის სახლში ტრანსპორტირების დაფინანსება. ხოლო კოვიდ 19-ით ინფიცირებულთან კონტაქტში მყოფი პირების შემთხვევაში განხორციელდება მათი სასტუმრომდე ტრანსპორტირების დაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდება კოვიდ 19-ით გარდაცვლილთა ბინაზე ტრანსპორტირების დაფინანსება. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული კოვიდ 19-ით გარდაცვლილ მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურებაზე დახმარება გაიცემა ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლისა და მაჟორიტარი დეპუტატის (საკრებულოს წევრის) შუამდგომლობის და სამედიცინო დაწესებულების მიერ გაცემული შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოდგენის ან ა(ა)იპ – ლანჩხუთის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციის შემდგომ დასკვნის მომზადებისა და მიღებაჩაბარების აქტის გაფორმების საფუძველზე. მუნიციპალიტეტის მიერ გაიცემა კოვიდ ინფიცირებულის დაკრძალვისთვის საჭირო აღჭურვილობა (პირბადე, ფარი, ქუდი, ბახილი, ერთჯერადი ხალათი, სადეზინფექციო ხსნარი, სპეც. ჩანთა და ხელთათმანი).

შენიშვნა: ამ მუხლის ღ) ქვეპუნქტით გათვალისწინებული სერვისის მიმწოდებელი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს: 1) შესაბამისი მომსახურების მიწოდებისთვის ორგანიზაციას უნდა ჰყავდეს ქცევითი თერაპევტი; 2) ქცევითი თერაპევტის (10 მოსარგებლეზე, არანაკლებ, 1 თერაპევტის) ყოლა,

რომელიც არის ბავშვის ქცევითი აშლილობების მართვის უნარ – ჩვევების მქონე დიპლომირებული სპეციალისტი ფსიქოლოგიაში და გავლილი აქვს გამოყენებითი ქცევითი ანალიზის ბაზისური მომზადების კურსი, რაც დასტურდება სერტიფიკატით ან/და შესაბამისი დოკუმენტით; 3) აუცილებელია, ყოველ 5 ქცევით თერაპევტზე ჰყავდეს ფსიქოლოგიის მეცნიერებათა მაგისტრის ხარისხის მქონე ერთი ქცევითი თერაპევტი, რომელსაც შეუძლია: ბავშვის/მოზარდის უნარების შეფასება/გადაფასება შესაბამისი საერთაშორისო მეთოდოლოგიის გამოყენებით (ინსტრუმენტები: ABLLS,VB-MAPP და სხვა); ინდივიდუალური თერაპიული პროგრამის შედგენა; აქვს აუტიზმის სპექტრის აშლილობის მქონე ბავშვებთან დამოუკიდებლად მუშაობის, სულ მცირე, 2 წლის გამოცდილება; 4) უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზით (თითოეული მოსარგებლისთვის ერთი-ერთზე სერვისის განსახორციელებლად).

განცხადების განიხილვა:

1. მუნიციპალიტეტის მერიაში შემოსულ განცხადებებს განიხილავს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახური და საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში სამსახურის მიერ მომზადებული ბრძანების პროექტის საფუძველზე მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.

2. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის სივრცითი მოწყობისა და ინფრასტრუქტურის სამსახურის სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“.

3. დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის „ო“ „ს“ ; „ტ“; „უ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული პროგრამებიდან დახმარებების გაცემის მიზნით მუნიციპალიტეტის მერის მიერ მერის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის ბრძანების საფუძველზე იქმნება კომისია რომლის შემადგენლობაში შედის: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერი; ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის უფროსი; მერიის იურიდიული სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი; მერიის სოციალური და ჯანდაცვის სამსახურის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი და საკრებულოდან მოწვევით - ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრი. კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმის სახით და არის სარეკომენდაციო ხასიათის. კომისია უფლებამოსილია შეიკრიბოს თვეში ერთხელ მაინც. კომისიის ოქმის გათვალისწინებით მუნიციპალიტეტის მერის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით (ბრძანებით) გაიცემა სოციალური დახმარებები.“.

სამსახურის მიერ დასკვნის მომზადება:

1. სამსახური სოციალური დახმარების გაცემის საკითხის განხილვისას ხელმძღვანელობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6 თავით გათვალისწინებული მარტივი ადმინისტრაციული წარმოებით.

2. სამსახური უზრუნველყოფს ყოველთვიური დახმარების მიმღებთა ოჯახებში მომხდარი ცვლილებების სისტემატურ შემოწმებას და ამზადებს დასკვნას ბენეფიციართა საქმეში შესაბამისი შესწორებების შეტანის თაობაზე (დახმარების დანიშვნის გაუქმება, შეწყვეტა, აღდგენა). 3.ცვლილებებში იგულისხმება ბენეფიციართა ახალი ოჯახების გამოვლენა ან გაუქმება, ოჯახის წევრთა მატება-კლება, ბავშვების სრულწლოვანების დადგენა, სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი ოჯახების დროებით თავშესაფრით უზრუნველყოფა და ა.შ.

4. სამსახური, ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიასთან ერთად სასწავლო წლის დასაწყისში მოიპოვებს ინფორმაციას სკოლის ფინანსური მდგომარეობის თაობაზე და პროგრამის გაგრძელების შესახებ დასკვნას წარუდგენს მუნიციპალიტეტის მერს.

სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება:

1. სოციალური დახმარების გაცემის შესახებ საბოლოო გადაწყვეტილების მიღება ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ, რომელიც გამოსცემს შესაბამის ბრძანებას.

2. მერის ბრძანებით განისაზღვრება ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და ინიშნება სოციალური დახმარება.

3. სოფლებში მცხოვრებ მოსწავლეთა ტრანსპორტით მომსახურების პროგრამის შემთხვევაში პროგრამის განხორციელების მიზნით ტრანსპორტირების თანხა სკოლას გადაერიცხება ა(ა)იპ ლანჩხუთის წმინდა იოანე ნათლისმცემლის სახელობის სასულიერო გიმნაზიის პრორექტორის მოთხოვნის საფუძველზე.

4. გადაუდებელ შემთხვევაში, როდესაც აუცილებელია წინამდებარე წესის 1-ლი მუხლის „მ“ ; „ო“ და „ს“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული დახმარების გაცემა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება სავალალო შედეგები გამოიწვიოს, დახმარება შეიძლება გაიცეს კომისიის ოქმის გარეშეც, ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანებით.

ფულადი დახმარების გაცემა;

1. სოციალური დახმარების გაცემა ხდება ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანების საფუძველზე.

2. მერის ბრძანების ასლი, რომლითაც დამტკიცებულია ბენეფიციართა პერსონალური შემადგენლობა და დანიშნულია სოციალური დახმარება, იგზავნება მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურში.

3. სოციალური დახმარების გაცემას ახდენს მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახური უნაღდო ანგარიშსწორების გზით.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მერვე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ **კახა კვიტაიშვილმა.** მან განმარტა, რომ ბიუროს წევრებს მიწოდებული აქვთ 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი და მათ მიერ გამოთქმული შენიშვნების და წინადადებების გათვალისწინებით პროექტში განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეცხრე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინასო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ.** მან აღნიშნა, რომ მიმდინარე წელს კომისია ეწეოდა წარმატებულ და ნაყოფიერ საქმიანობას. სამუშაო პროცესის დროს ადგილი ქონდა ისეთი საკითხების განხილვასაც, რომელთან დაკავშირებითაც საკრებულოს მიერ მოწვეულ იქნა რიგგარეშე სხდომები. საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ იმედი გამოთქვა, რომ 2022 წელიც იქნება აქტიური და კომისია საქმიანობას განახორციელებს წარმოდგენილი გეგმის შესაბამისად.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N2-ის შესაბამისად.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა 11 ბიუროს წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეათე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

ეკონომიკის,ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ **ზაზა წულაძემ.** მან განმარტა, რომ მიმდინარე წელს კომისია ეწეოდა აქტიურ და ნაყოფიერ საქმიანობას. კოლეგებს მიწოდებული აქვთ 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, რომელთანაც დაკავშირებით თუკი გამოითქმება რაიმე შენიშვნა ან წინადადება, აუცილებლად იქნება გათვალისწინებული.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილემ **გიორგი გოგუაძემ** აღნიშნა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტში ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლი შემცირებულია, მაშინ როდესაც სოფელ აკეთის და სოფელ შრომისუბნის ლიცენზირებული კარიერებიდან სამი წლის მანძილზე გატანილია დაახლოებით 1800000 კუბური მეტრი ინერტული მასალა და ნაცვლად 360000 ლარისა შემოტანილია 47000 ლარი. მისი თქმით, შრომისუბანში, მდინარე სუფსის კალაპოტიდან დიდი როდენობით ამოღებული ინერტული მასალის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის რიცხვი ასი ოჯახით გაიზარდა. დეპუტატმა ასევე აღნიშნა, რომ სახელმწიფოს მიერ მიღებული იქნა არასწორი გადაწყვეტილება, რაზეც პასუხისმგებელია მერი და მერია, ამიტომ აუცილებელია ამ ყველაფრის გაკონტროლება.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ მისი მერობის პერიოდში აკეთის კარიერმა იფუქციონირა მხოლოდ 2-3 თვე, ასევე შრომისუბნის კარიერზე ინერტული მასალების მოპოვებაზე მუშაობა დაიწყო მიმდინარე წლის მაისში და შეწყდა სექტემბერში მოსახლეობის პროტესტის და დაპირისპირების საფუძველზე, რომელსაც თავადაც უჭერდა მხარს. დღეის მდგომარეობით საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მიერ, საავტომობილო გზების დეპარტამენტის შუამდგომლობით ისევ შემოსულია მერიაში წერილი, რომ სოფელ მოედანში, ავტობანის მშენებლობის მწარმოებელი კომპანია ,,ფოატის“ მიერ, მოხდეს კიდევ მილიონი კუბური მეტრი ინერტული მასალის მოპოვება, ამასთანავე აღნიშნული კომპანია გათავისუფლებული უნდა იქნეს ლიცენზირებისა და გადასახადისაგან, რაზეც მიუხედავად დიდი თანხის შემოთავაზებისა მუნიციპალიტეტის მხრიდან ეთქვა უარი. მისი, როგორც მუნიციპალიტეტის მერის, ასევე რიგითი ადგილობრივი მკვიდრის პოზიცია, მიუხედავად სახელმწიფოს ინტერესისა-ამ კონკრეტული კარიერის გამოყენებით მოხდეს ავტობანის მშენებლობის დასრულება, არის წინააღმდეგობრივი, რადგან ეს ტერიტორია გეოლოგიურად არამდგრადია და მოსახლეობა უკიდურეს მდგომარეობაშია.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N3-ის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეთერთმეტე საკითხი: . ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს იურიდიულ საკითხა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას გააცნო საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ **გიორგი ხელაძემ.** მან განმარტა, რომ მიმდინარე წელს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიამ სამუშაო პროცესი წარმართა 2021 წლის გეგმის შესაბამისად, რომელიც ეწეოდა აქტიურ და ნაყოფიერ საქმიანობას. ბიუროს დღევანდელ სხდომაზე წარმოდგენილია აღნიშნული კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა, რომელთანაც დაკავშირებით თუკი გამოითქმება რაიმე შენიშვნა ან წინადადება, შესაბამისად იქნება განხილული და გათვალისწინებული.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N4-ის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეთორმეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა სხდომას წარუდგინა საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ,** რადგან საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარე ავადმყოფობის გამო ვერ ესწრებოდა ბიუროს სხდომას. მან განმარტა, რომ წარმოდგენილი აქვს 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, რომელიც უკვე მიწოდებული აქვთ კოლეგებს და მზად არის შენიშვნებისა და წინადადებების არსებობის შემთხვევაში მასში განახორციელოს ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N5-ის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეცამეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2022 წლის სამუშაო გეგმის სხდომას გააცნო საკრებულოს თავმჯდომარემ **ბესიკ ტაბიძემ.** მან განმარტა, რომ საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ძიძიგური იმყოფება იზოლაციაში, რის გამოც თავად წარმოადგინა საკრებულოს აპარატის 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, რომელიც უკვე მიწოდებული აქვთ კოლეგებს და მზად არის შენიშვნებისა და

წინადადებების არსებობის შემთხვევაში მასში განახორციელოს ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

დამტკიცდეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის 2022 წლის სამუშაო გეგმა დანართი N6-ის შესაბამისად.

დღის წესრიგის მეთოთხმეტე საკითხი: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ **ემზარ თევდორაძემ.** მან განმარტა, რომ წარმოდგენილი აქვს საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის პროექტი, რომელიც უკვე მიწოდებული აქვთ კოლეგებს და მზად არის შენიშვნებისა და წინადადებების არსებობის შემთხვევაში მასში განახორციელოს ცვლილებები.

ბიუროს წევრების მიერ წარმოდგენილ გეგმის პროექტთან დაკავშირებით შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა წარმოდგენილ სამუშაო გეგმას.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის სამუშაო გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ეთიკის კომისიას, საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას, საკრებულოს სოციალურ საკითხთა, განათლების, კულტურისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიას, საფინანსო- საბიუჯეტო კომისიას, საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიასა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ემზარ თევდორაძე.

დღის წესრიგის მეთხუთხმეტე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხისა და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზაციის გეგმის დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 28 მარტის N18 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი სხდომას გააცნო მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ.** მან განმარტა, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური მიზანშეწონილად მიიჩნევს, რომ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება, კერძოდ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ორი ერთეული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები (ს/კ 27.10.46.411 და ს/კ 27.10.46.420) და ქ. ლანჩხუთში ნინოშვილის ქუჩა N9-ში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.06.52.438) შემდგომი განკარგვის მიზნით, აისახოს მუნიციპალიტეტის უძრავი ქონების საპრივატიზებო ნუსხასა და გეგმაში. ასევე ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონება - (შუხუთის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ შუხუთში მდებარე უძრავი ქონება (ს/კ 27.05.44.009)) ამოღებულ იქნეს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხიდან და გეგმიდან, ვინაიდან აღნიშნული ქონება სარგებლობის უფლებით გადაეცემა ა(ა)იპ „კლინიკური ონკოლოგიის საქართველოს საზოგადოებას“ (ს/ნ 406080529), ლანჩხუთში სკრინინგ ცენტრის დაფუძნებისა და ფუნქციონირების მიზნით.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარტა, რომ ლესის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე ორ ერთეულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთების ნაწილზე წლების მანძილზე უკანონოდ განთავსებულია რამოდენიმე ჯიხური, ამიტომ უპრიანი იქნება ამ ნაკვეთების აუქციონზე გატანა, რადგან ჯიხურების მეპატრონეებმა შეძლონ მათ მიერ დაკავებული ფართის კანონიერად შესყიდვა, ხოლო დარჩენილ თავისუფალ ნაკვეთზე გამოჩნდება დაინტერესებული პირი.

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ სოფელ ჭყონაგორაში გარდაიცვალა სარიტუალო დარბაზის მეპატრონე ნუნუ გაბილაია, რომელსაც აღნიშნული ფართი იჯარით ქონდა აღებული. იგი დაინტერესდა, თუ რა ვადებში უნდა მოხდეს საიჯარო ხელშეკრულების გაუქმება.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ მერიაში შემოსულია კიდევ სამი მსგავსი შინაარსის წერილი და ოთხივე საკითხი, ვადების დაცვით, ერთად განიხილება.

ფრაქცია ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ თავმჯდომარის მოადგილე **გიორგი გოგუაძე** დაინტერესდა, ვის მფლობელობაშია თავისუფლების ქუჩაზე მდებარე ყოფილი კინოთეატრის შენობა და აქვს თუ არა მუნიციპალიტეტს იმის ბერკეტი, რომ მეპატრონეს აღნიშნული ტერიტორიის მოწესრიგება მაინც მოსთხოვოს. იგი ასევე დაინტერესდა, ვის მფლობელობაშია ყოფილი ლიბრთი ბანკის და ახალგაზრდულის შენობა და შესაძლებველია თუ არა ამ რომელიმე ფართის გამოყენება საბავშვო ბაღის განსათავსებლად, რადგან ლანჩხუთის N1 საბავშვო ბაღს აღარ ჰყოფნის არსებული ფართი.

მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსმა **გიორგი ნაჭყებიამ** განმარტა, რომ ყოფილი კინოთეატრის შენობა ახლახანს შეისყიდა ლაშა ჩხაიძემ და ის მოაგვარებს ამ საკითხს, ყოფილი ლიბრთი ბანკის შენობა ისევ ლიბრთი ბანკის მფლობელობაშია, ახალგაზრდულის შენობა სახელმწიფო საკუთრებაა და თუ ვინმემ ინტერესი არ გამოხატა სახემწიფო ისე არ შეაფასებს და არც გაასხვისებს. მან იქვე დასძინა, რომ დღეს სახელმწიფო ქონების ეროვნულმა სააგენტომ აუქციონზე გამოიტანა კიდევ რამოდენიმე ობიექტი, ესენია: ყოფილი პროფესიული ტექნიკუმის, ინტერნატის, ყოფილი სახანძროს, ყვავილნარში არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და ქვედა

ჯურუყვეთის ყოფილი ფაბრიკის ტერიტორიები.

საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ გაერთიანებული წყალმომარგების კომპანია ჯურუყვეთის ყოფილი ფაბრიკის ტერიტორიაზე გეგმავს ჭაბურღილების გაკეთებას.

მუნიციპალიტეტის მერმა **ალექსანდრე სარიშვილმა** განმარჭა, რომ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს ეს საკითხი შეთანხმებული ექნება გაერთიანებული წყალმომარგების კომპანიასთან, რადგან აღნიშნული ტერიტორია უკვე რამოდენიმეჯერ იყო გატანილი აუქციონზე. მან ასევე აღნიშნა, რომ სახანძრო-სამაშველო სამსახურისთვის საჭიროა გამოინახოს ახალი ტერიტორია, რადგან მისი ახლანდელი მდებარეობა მოუხერხებელია აღნიშნული სამსახურისთვის.

ბიუროს წევრების მიერ განკარგულების პროექტთან დაკავშირებით სხვა შენიშვნები და წინადადებები არ გამოთქმულა.

საკრებულოს თავმჯდომარემ, ბესიკ ტაბიძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.

კენჭისყრას ესწრებოდა ბიუროს 11 წევრი.

მომხრე ბიუროს 11 წევრი, წინააღმდეგი არცერთი.

ბიურომ მიიღო გადაწყვეტილება:

1) „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, პირდაპირი განკარგვის წესით, სასყიდლიანი სარგებლობის უფლებით გადაცემაზე მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ განკარგულების პროექტის განხილვისთვის ძირითად კომისიად განისაზღვროს საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისია.

2) განკარგულების პროექტი განსახილველად გადაეგზავნოთ ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიას და ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციებს – „ქართული ოცნება – დემოკრატიული საქართველო“, ,,ლანჩხუთი საქართველოსთვის“, ,,ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“.

3) განკარგულების პროექტი კომისიისა და ფრაქციების მიერ გამოთქმულ შენიშვნებთან ერთად განხილვისთვის შეტანილ იქნას ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 24 დეკემბრის მორიგი სხდომის დღის წესრიგის პროექტში.

4) მომხსენებლად განისაზღვროს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის უფროსი გიორგი ნაჭყებია.

სხვადასხვა საკითხები არ განხილულა.

ამით ბიუროს სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ბესიკ ტაბიძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი